USAID
ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲒᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ
ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ
ᲘᲣᲠᲘᲡᲢᲗᲐ
ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲐ

თავისუფალი,სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური ციკლი 2022-2025 წლებში

საინფორმაციო ბიულეტენი №57
ივნისი, 2024

თბილისი, 2024

ხელმძღვანელი:

ნანუკა ყრუაშვილი

ავტორი:

მათე ბუბაშვილი

საინფორმაციო ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (საია). ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

USAID
ამერიკელი ხალხისგან

შესავალი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) 2019 წლის აგვისტოდან მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო პროექტის „თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო პოლიტიკური ციკლი 2022-2025 წლებში" იმპლემენტაცია. პროექტის ერთ-ერთი მიზანია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა მონიტორინგისა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ადვოკატირების გზით. ამის მისაღწევად ორგანიზაცია დააკვირდება მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებსაც გააცნობს საზოგადოებას და წარუდგენს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს. ამჟამად წარმოგიდგენთ №57 ბიულეტენს. მასში აღწერილია 2024 წლის ივნისი განვითარებული მოვლენები, რომლებმაც გავლენა მოახდინა პოლიტიკურ გარემოზე.

1. „რუსულ კანონთან" დაკავშირებული მოვლენები

2024 წლის 3 ივნისს პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა ე.წ. „რუსულ კანონს" ხელი მოაწერა. ის ძალაში 4 ივნისიდან შევიდა.[1] კანონის მე-10 მუხლის თანახმად, იუსტიციის მინისტრმა მისი ამოქმედებიდან 60 დღის ვადაში უნდა მიიღოს კანონის შესასრულებლად საჭირო კანონქვემდებარე აქტი.[2] ამ აქტმა უნდა მოაწესრიგოს ის საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ორგანიზაციების მიერ უცხოური გავლენის აგენტად რეგისტრაციასა და მონაცემების წარდგენასთან. არასამთავრობო ორგანიზაციებმა განაცხადეს, რომ ისინი დარეგისტრირებას არ აპირებენ.[3]

პროცესების პარალელურად, „რუსული კანონის" მიღების შემდეგ, „კანონის მოწინააღმდეგე გაბრაზებული მოქალაქეები" „ქართული ოცნების" დეპუტატებს სხვადასხვა ფორმით დაუპირისპირდნენ.[4] კერძოდ, მათი სახლის კარებსა და კედლებზე სიტყვები „მოღალატე" და „მონები" დაწერეს. გარდა ამისა, მოქალაქეებმა დეპუტატ ვიქტორ ჯაფარიძეს - ქუჩაში და ელისო ბოლქვაძეს - აეროპორტში „მონები" უწოდეს, რასაც სიტყვიერი შელაპარაკებები მოჰყვა.[5] ამის საპასუხოდ, 30 მაისს უცნობმა პირებმა ოპოზიციური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების კედლებზე მუქარის შემცველი წარწერები დააწერეს. ამ ქმედებების ავტორი, მისი ფეისბუქ-პოსტიდან გამომდინარე, „ქართული ოცნების" დეპუტატი დიმიტრი სამხარაძეა.[6] მან ამავე პოსტში გამოაქვეყნა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ოპოზიციური პარტიების სია, რომლებიც ხელისუფლების სავარაუდო სამიზნეები არიან.[7] მათ შორის არის საიაც. გარდა ამისა, კვლავ გრძელდება მოქალაქეთა დაშინება, რაც, უმეტესად, გამოხატულია მუქარის შემცველ სატელეფონო ზარებსა და

[1] „პაპუაშვილმა რუსულ კანონს ხელი მოაწერა – კანონი ძალაში 4 ივნისიდან შევა", საინფორმაციო პორტალი „ტაბულა", 2024 წლის 3 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://tabula.ge/ge/news/718897-papuashvilma-rusul-kanons-kheli-moacera-kanoni, განახლებულია: 01.07.2024.

[2] „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" საქართველოს კანონი, 4194-XIVმს-Xმპ, 28.05.2024, მუხლი 10 (1), საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

[3] „ჩვენ ვაცხადებთ დაუმორჩილებლობას — არა რუსულ კანონს! კი ევროპას!" — არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება", საინფორმაციო პორტალი „On.ge", 2024 წლის 28 მაისი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/bv1g6, განახლებულია: 01.07.2024.

[4] „უცხოელი აგენტების" შესახებ კანონის მიღების შემდეგ, მოქალაქეები „ქართული ოცნების" დეპუტატებს უპირისპირდებიან", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge°, 2024 წლის 1-ლი ივნისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/610925, განახლებულია: 01.07.2024.

[5] იქვე.

[6] „დეპუტატი დიტო სამხარაძე აღიარებს, რომ შეურაცხმყოფელი წარწერების ორგანიზატორი თავად არის", საინფორმაციო პორტალი „On.ge", 2024 წლის 31 მაისი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/TlTuA, განახლებულია: 01.07.2024.

[7] „ოცნება" რეპრესიებზე საუბრობს, ოპონენტების დაშინების კამპანია გრძელდება", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge ", 2024 წლის 1-ლი ივნისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/611011, განახლებულია: 01.07.2024.

კერძო საკუთრების დაზიანებაში.[8] მოსალოდნელი რეპრესიების შესახებ საუბრობენ როგორც შს-ს მაღალჩინოსნები, ისევე პარლამენტარები და სახელისუფლებო მედიის წარმომადგენლები.[9] გამოვლინდა სამოქალაქო აქტივისტებზე ფიზიკური ძალადობის ფაქტებიც. Amnesty International ხელისუფლებას მოუწოდებს, დაუყოვნებლივ შეწყდეს განსხვავებული აზრის მქონე პირების დევნა და ოპერატიულად გამოიძიონ არსებული ინციდენტები.[10]

მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, ჟენევაში, გაეროს სააგენტოებში, 36 ქვეყნის მუდმივმა წარმომადგენელმა გამოაქვეყნა გაერთიანებული განცხადება, რომლითაც ხელისუფლებას „რუსული კანონის“ გაუქმებისა და ოპოზიციის წინააღმდეგ დაშინებების კამპანიის შეჩერებისკენ მოუწოდა. მათ ასევე მოითხოვეს კანონდარღვევის შემთხვევების სრული და სამართლიანი გამოძიება.[11]

2. ჟურნალისტებს აეკრძალათ პარლამენტში მუშაობა

პარტია „ქართული ოცნების“ დეპუტატ ნინო წილოსანის მოთხოვნით, ოპოზიციური ტელევიზიების - „ფორმულასა“ და „მთავარის“ ჟურნალისტებს პარლამენტის შენობაში მუშაობა 6 თვით აეკრძალათ.[12] დეპუტატმა ჟურნალისტების საქმიანობის შეჩერების მოთხოვნით პარლამენტის თავმჯდომარეს მას შემდეგ მიმართა, რაც ჟურნალისტები, მისი უარის მიუხედავად, მაინც ცდილობდნენ ინტერვიუს ჩაწერას.[13] „საპარლამენტო ჟურნალისტებისთვის აკრედიტაციისა და ქცევის წესების შესახებ“ პარლამენტის სპიკერის 2023 წლის ბრძანების მიხედვით, ჟურნალისტი ვალდებულია, შეწყვიტოს ინტერვიუს აღების მცდელობა, თუ პირი მასზე უარს ამბობს.[14] „ხალხის ძალის“ დეპუტატ სოზარ სუბარის მოთხოვნით, იგივე სანქცია გავრცელდა ტელეკომპანია „პირველის“ ჟურნალისტზეც.[15] ჟურნალისტებს სანქციის სახით დაეკისრათ საქმიანობის აკრძალვა 6 თვის განმავლობაში.[16]

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის 6 ივნისის განცხადებით, პარლამენტი სადამსჯელო ინსტრუმენტებად იყენებს მედიის ქცევის წესებში შეტანილ ცვლილებებს. ქარტია აცხადებს, რომ პარლამენტში ჟურნალისტების მიმართ დამოკიდებულება და მათი სამუშაო პირობები მკვეთრად გაუარესდა.[17]

---

[8] იქვე.
[9] იქვე.
[10] „Georgia: Authorities must immediately investigate attacks on government critics“, Amnesty International, 2024 წლის 11 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/Y3Cpa, განახლებულია: 01.07.2024.
[11] „36 ქვეყანა ხელისუფლებას მოუწოდებს, შეწყვიტოს ოპონენტებზე თავდასხმები“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2024 წლის 19 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/614880, განახლებულია: 01.07.2024.
[12] „ნინო წილოსანის მოთხოვნით, კრიტიკულ ჟურნალისტებს პარლამენტის შენობაში მუშაობა აეკრძალათ“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2024 წლის 4 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/611423, განახლებულია: 01.07.2024.
[13] იქვე.
[14] იქვე.
[15] „პარლამენტის შენობაში მუშაობა კიდევ ერთ კრიტიკულ ჟურნალისტს აეკრძალა“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2024 წლის 5 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/611658, განახლებულია: 01.07.2024.
[16] „ნინო წილოსანის მოთხოვნით, კრიტიკულ ჟურნალისტებს პარლამენტის შენობაში მუშაობა აეკრძალათ“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2024 წლის 4 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/611423, განახლებულია: 01.07.2024.
[17] „საქართველოს პარლამენტი დევნის და უპირისპირდება ჟურნალისტებს კრიტიკული მედიასაშუალებებიდან“, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, 2024 წლის 6 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/D2APn, განახლებულია: 01.07.2024.

3. ცესკოს განცხადება ბრალდებების შესახებ

2024 წლის 6 ივნისს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გამოაქვეყნა განცხადება, რომლითაც იგი ეხმიანება ცესკოს მიმართ გამოთქმულ „გადაუმოწმებელ, უსაფუძვლო და საარჩევნო პროცესების დამაზიანებელ განცხადებებს“.[18] კონკრეტულად ვის მიერ გაკეთებულ რომელ განცხადებებზეა საუბარი, არ არის დაზუსტებული.[19] განცხადებაში აღნიშნულია, რომ ცესკო დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვით მოქმედებს და ყველაფერს აკეთებს ელექტრონული არჩევნების წარმატებით ჩასატარებლად, მათ შორის, „მთელი ძალისხმევა მიმართულია საარჩევნო პროცესებიდან პოლიტიკური დისკურსის და გავლენების აღკვეთისკენ“.[20]

განცხადებაში ცესკო მოუწოდებს დაინტერესებულ მხარეებს, მათ შორის, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, იყვნენ მიუკერძოებელნი და ობიექტურები, „ხელი შეუწყონ არჩევნების სამართლიან და გამჭვირვალე გარემოში ჩატარებას“.[21]

4. პრეზიდენტის ვეტო საარჩევნო კოდექსში ცვლილებების კანონზე

13 ივნისს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ვეტო დაადო საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შესახებ კანონს, რომელიც ითვალისწინებდა ცესკოს გადაწყვეტილების მისაღებად 2/3 კვორუმის უბრალო უმრავლესობამდე შემცირებას.[22] ამავე კანონპროექტით უქმდება ცესკოს საკონსულტაციო ჯგუფი, რომელიც სახალხო დამცველს, ადგილობრივ და საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციებს აერთიანებდა.[23] პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნების თანახმად, აღნიშნული ცვლილებები ზღუდავს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ოპოზიციის მონაწილეობის შესაძლებლობას.[24] პრეზიდენტის ვეტო პარლამენტმა 27 ივნისს დაძლია.[25]

---

[18] „საარჩევნო ადმინისტრაციის განცხადება“, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური ვებგვერდი, 2024 წლის 6 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://cesko.ge/ge/siakhleebi/pres-relizebi/singleview/11033443-saarchevno-administratsiis-gantskhadeba, განახლებულია: 11.07.2024.

[19] „ცესკო არჩევნების წინ „დამაზიანებელი უსაფუძვლო ბრალდებების“ გავრცელებაზე საუბრობს“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2024 წლის 7 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/612052, განახლებულია: 11.07.2024.

[20] იქვე.

[21] იქვე.

[22] „პრეზიდენტმა ვეტო დაადო საარჩევნო კოდექსში შეტანილ ცვლილებებს“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2024 წლის 13 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32991893.html, განახლებულია: 11.07.2024.

[23] საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“, საქართველოს პარლამენტი, 2024 წლის 2 მაისი, ხელმისაწვდომია: https://www.parliament.ge/legislation/28538, განახლებულია: 11.07.2024.

[24] საქართველოს პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნები „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონზე, საქართველოს პრეზიდენტი, 2024 წლის 13 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://www.parliament.ge/legislation/28783, განახლებულია: 11.07.2024.

[25] „პარლამენტმა „საარჩევნო კოდექსში“ ცვლილებებზე პრეზიდენტის ვეტო დაძლია“, საინფორმაციო პორტალი „1tv.ge“, 2024 წლის 27 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://1tv.ge/news/parlamentma-saarchevno-kodeqsshi-cvlilebebze-prezidentis-veto-dadzlia-3/, განახლებულია: 11.07.2024.

5. ექვსი ოპოზიციური პარტიის „ერთიანობის დეკლარაცია“

2024 წლის 24 ივნისს ბრიუსელში ექვსმა ოპოზიციურმა პარტიამ[26] ხელი მოაწერა „ერთიანობის დეკლარაციას“.[27] ეს დეკლარაცია პრეზიდენტ ზურაბიშვილის „ეროვნული ქარტიის“ გაგრძელებაა და მიმართულია 2024 წლის არჩევნების წინა და შემდეგ ეტაპზე „ეროვნული ქარტიის“ მიზნების გარშემო პარტიათა გაერთიანებისკენ.[28] მათი მთავარი მიზანია მოქმედი ხელისუფლებისგან საქართველოს გადარჩენა და ქვეყნის ევროინტეგრაციის გზაზე დაბრუნება.[29] ხელმომწერნი თანხმდებიან, რომ ისინი 2024 წლის არჩევნებზე მოქალაქეთა ხმების დაცვას უზრუნველყოფენ და, ასევე, საპრეზიდენტო კანდიდატსაც ერთიანად წარადგენენ.[30]

6. ვენეციის კომისიის მოსაზრება გენდერული კვოტირების გაუქმების შესახებ

2024 წლის 24 ივნისს ვენეციის კომისიამ გამოაქვეყნა დასკვნა „საარჩევნო კოდექსში გენდერული კვოტების გაუქმების თაობაზე ცვლილებების შეტანის შესახებ“.[31] მათი მოსაზრებით, კვოტების გაუქმება „სერიოზულ წუხილებს აჩენს“ საარჩევნო წელს.[32] კომისიის დასკვნაში ასევე აღნიშნულია, რომ გენდერული კვოტების შემოღება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, ვენეციის კომისიის რეკომენდაციის შესაბამისად, კონსტიტუციურად ცნო და მისი გაუქმებით კანონმდებელს რაიმე სხვა ზომები არ შეუთავაზებია.[33] გარდა ამისა, დოკუმენტში ნათქვამია, რომ ცვლილებების საჭიროება არ არსებობდა და ისინი, თავის მხრივ, დაინტერესებული მხარეების ჩართულობისა და კონსენსუსის გარეშე განხორციელდა.[34] ამის მიზეზად ვენეციის კომისია პარტიულ ავტონომიასა და მერიტოკრატიას ასახელებს.[35]

---

[26] მათ შორის: „გირჩი - მეტი თავისუფლება“, „დროა“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ახალი“, „ლელო“ და „სტრატეგია აღმაშენებელი“.

[27] „ექვსმა ოპოზიციურმა პარტიამ „ერთიანობის დეკლარაციას“ მოაწერა ხელი“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2024 წლის 25 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/614022, განახლებულია: 11.07.2024.

[28] „გავერთიანდებით არჩევნების წინ და შემდეგ - 6 ოპოზიციური პარტიის ერთიანობის დეკლარაცია“, საინფორმაციო პორტალი „ტაბულა“, 2024 წლის 25 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://tabula.ge/en/news/719696-gavertiandebit-archevnebis-cin-shemdeg-6, განახლებულია: 11.07.2024.

[29] იქვე.

[30] „ოპოზიციის ერთობის დეკლარაციის“ ხელმოწერა ბრიუსელში“, საინფორმაციო პორტალი „1tv.ge“, 2024 წლის 25 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://1tv.ge/video/opoziciis-ertobis-deklaraciis-khelmowera-briuselshi/, განახლებულია: 11.07.2024.

[31] OPINION ON AMENDMENTS TO THE ELECTION CODE WHICH ABOLISH GENDER QUOTAS, No. CDL-AD(2024)023, EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION), 2024 წლის 24 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2024)023-e, განახლებულია: 11.07.2024.

[32] იქვე.

[33] „ვენეციის კომისიის მოსაზრება გენდერული კვოტების გაუქმების შესახებ“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2024 წლის 25 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/614052, განახლებულია: 11.07.2024.

[34] იქვე.

[35] იქვე.

7. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ („ენმ“) თავმჯდომარის ცვლილება

პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ ლევან ხაბეიშვილმა 2024 წლის 8 ივნისს განაცხადა, რომ ტოვებს დაკავებულ თანამდებობას და მას ენმ-ის წევრი, პარლამენტის დეპუტატი თინათინ ბოკუჩავა შეცვლის.[36] ლევან ხაბეიშვილმა გადაწყვეტილების მიღების მიზეზად ჯანმრთელობის მდგომარეობა და ექიმების რეკომენდაცია დაასახელა, რომლის მიხედვითაც, მან 2-3 თვის განმავლობაში „რეჟიმში მუშაობისგან“ თავი უნდა შეიკავოს.[37] თავის მდგომარეობას ხაბეიშვილი „რუსული კანონის“ წინააღმდეგ გამართულ აქციებზე მის სასტიკ ცემას უკავშირებს.[38]

[36] „ხაბეიშვილი ენმ-ის თავმჯდომარეობას ტოვებს, მას თინა ბოკუჩავა შეცვლის“, საინფორმაციო პორტალი „ფორმულანიუსი“, 2024 წლის 8 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://formulanews.ge/News/112696, განახლებულია: 01.07.2024.

[37] „ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარის პოსტზე ლევან ხაბეიშვილს თინა ბოკუჩავა შეცვლის“, საინფორმაციო პორტალი „civil.ge“, 2024 წლის 8 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/612102, განახლებულია: 01.07.2024.

[38] იქვე.